სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

29 ივლისი 2026

N 21/10956

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობისთვის **(წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუბისწყალში სამელიორაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია)** გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის მიერ ა/წ 21 ივლისს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია **სკრინინგის განცხადება,** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

სკრინინგის განცხადება თანდართული დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/55dd3ec6-8f4f-486c-8cbf-129fff3a28ac. გთხოვთ, სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საკითხსა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოთ **2026 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით,** მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, 0112 თბილისი ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით შპს „გოლდენ ბლუ 1“-ის **სკრინინგის განცხადებას** თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ან/და აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 3 (სამი) ფაილი

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10956-21-2-202607291223

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE